შრომის უსაფრთხოების დაცვის სტანდარტები ქართული და ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე

მარიამ ორველაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

კერძო ბიზნეს სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მამფორია, სამეწარმეო სამართლის მაგისტრი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

მარიამ ორველაშვილი

01.07.2020

აბსტრაქტი

შრომის უფლება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადამიანის უფლებათაგან. იმისათვის, რომ საქართველოს ინტეგრაცია მოხდეს ევროპული სამართლის სივრცეში, აუცილებელია შრომის უსაფრთხოების რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, მოქალაქეებისათვის ღირსეული და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნაა. დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება არის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დაუცლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება. სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის უსაფრთხო შრომის უფლების მაქსიმალურ დაცვა. დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობა და შრომის პირობების უსაფრთხოება საქართველოსათვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

ნაშრომში განხილულია სამუშაო ადგილებსა და სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული შრომის პირობების, უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და ზედამხედველობის საკითხები.ასევე ხდება არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება. მოცემული თემის ფარგლებში განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა: შრომის უსაფრთხოება, სამუშაო ადგილის მოწყობის პრინციპები, პრევენციული ზომები, რისკებისშეფასება და მართვა, დაზღვევა და იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენს, განვიხილოთ, თუ რა განაპირობებს შრომის უფლებების დარღვევის უმეტეს შემთხვევებს და როგორ აისახება ეს დარღვევები დასაქმებულის მდგომარეობაზე ქართულ ორგანიზაციებში, რომლებიც ბიზნესის სხვადასხვა დარგში ოპერირებენ.

დასკვნაში მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის აკადემიური ღირებულება,

შეჯამებულია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება, საწარმოო ტრავმა, უსაფრთხო შრომა, საწარმოთა მონიტორინგი.

Abstract

Right to labor is one of the most important human rights for any democratic country. Since Georgia is striving towards European integration, it is of utmost importance to approximate its legislation related to labour safety to that of Europen Union.

It is one of the ultimate goals of any democratic country to create decent and safe working conditions for their citizens. Right to life and safety of the employees are one of the fundamental rights protected under the Constitution of Georgia and international treaties. Protection of the right to safe labour represents one of the priorities for the state. It is one of the ultimate challenges for Georgia to regulate the labour conditions and labour safety matters.

The present paper reviews the matters of labour conditions, protection of labour safety and supervision, which are related to work place and work process. The paper also identifies the active issues and offers recommendations is response to these issues. Under the present topic, the following shall also be reviewed: labour safety, principles of furnishing the workplace, preventive measures, risk assessment and management, insurance and the means for solving the issues related to the problems identified.

The aim of the research, which was conducted withing the scope of this paper is to determine reasons, which trigger the cases of labour violations as well as how these violations affect the employees at Georgian companies operating in various fields of business.

The conclusion explains the academic value of this paper and summarizes the acute problems related to labour safety in Georgia.

Keywords: labor safety, manufacturing trauma, protection of employees' interests, safe labor, enterprise monitoring.